

საერთაშორისო ტრენინგი: "მრავალფეროვანი ევროპა" უკრაინა/ლვოვი 2009 წლის 9-16 სექტემბერი

2009 წლის 10-16 სექტემბერს, არასამთავრობო ორგანიზაცია **LDA Georgia**-ს სახელით მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო ტრენინგში, სახელწოდებით: "მრავალფეროვანი ევროპა". ტრენინგის მთავარი თემა იყო "უმცირესობები და დისკრიმინაცია".

ტრენინგი ორგანიზებული იყო ფრანგული ორგანიზაცია **AMSED**-ის მიერ (**Association Migration Solidarite et Echanges pour le Developpement**), რომელიც უკრაინაში, ქალაქ ლვოვში გაიმართა. პროექტის ხელმძღვანელები იყვნენ: ბ-ნი ჯილალი კაბეჩე და ქ-ნი მირიამ ბრაჰმი. ადგილობრივი ფასილიტატორები: ქ-ნი ოქსანა იურიკი და ირინა ბოდნერი.

პროექტი განხორციელდა **Action 3.1**. -ის ფარგლებში, რომელშიც 12 ქვეყანა მონაწილეობდა: საფრანგეთი, ბელგია, ესტონეთი, რუსეთი, სომხეთი, მოლდოვა, უკრაინა, ლიტვა, საბერძნეთი, აზერბაიჯანი, რუმინეთი და საქართველო.



პროექტის მთავარი მიზანი იყო:

- ახალი პარტნიორობის ქსელის შექმნა ტრანს-ევროპული და კავკასიური თანამშრომლობის საფუძველზე;
- ახალგაზრდა ტრენერებისა და ფასილიტატორების ცოდნის გაღრმავება საერთაშორისო გაცვლითი პროექტების წარმოებაში;
- მასალების ვრცლად წარმოდგენა თემის "უმცირესობები და დისკრიმინაცია" ირგვლივ;
- მცირე კვლევების წარმოება და ანალიზი უმცირესობების შესახებ ადგილობრივი მასშტაბით;
- ერთმანეთისადმი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება პროექტის "ახალგაზრდობა მოქმედებაში" ფარგლებში.

ტრენინგის მსვლელობისას გამოყენებული იყო არაფორმალური სწავლებისათვის დამახასიათებელი ინტერაქტიული მეთოდები: ე.წ. "ენერჯაიზერები", როლური თამაშები, პრეზენტაციები, ინტერაქტიული სავარჯიშოები, გუნდური მუშაობა და ა.შ. რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა ტრენინგის მსვლელობას.